

# მწყემსი




მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
ჰოვე ცოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოველი ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიმენი და მე განგ სვენათ თქვენ. მათ. 11—28.

## მღ. მამა მიხეილ ჩიქვინიძის წერილის გამო.

„მწყემსი“-ს მე 6—7 ნომერში ჩვენ დაბეჭდვით მღვდლის მამა ჩიქვინიძის სტატია მიხაილ გაჩილიძისაგან გამოცემულ კალენდრის შესახებ. ამ კალენდრის მახინჯმა შინაარსმა, არა მარტო მღვ. მამა ჩიქვინიძე შეაშფოთა, არამედ ყოველი შეგნებულნი პირი, ვისაც იმდენი მოთმინება ჰქონდა, რომ ეს მახინჯი შინაარსის კალენდარი გადაეთვალეებინა. მამა მიხეილ ჩიქვინიძის წერილმა მე მომეგონა თ. ივანე მალაზის ძე ანდრონიკაშვილი, შესანიშნავი მხედარი, გულკეთილი და ქეშპარიტი ქრისტიანი კაცი. ეს ანდრონიკაშვილი ერთ დროს შემოვიდა სემინარიის მეექვსე კლასში, აპრილის დამღვეს, კურსის გათავების ხანებში, სწორეთ იმ დროს, როცა ღვთისმეტყველების საგნის გაკვეთილი იყო. ამ საგანს ასწავლიდა რექტორის სემინარიისა

არჩიანდრიტი ვიქტორინი, რომელიც კარგად იცნობდა ხსენებულ თავადს, როგორც ნამდილ მორწმუნე ქრისტიანს ზ მისი დიდად პატივისმცემელი იყო. რექტორი ვაკვეთილის მაგიერ დარვისის წიგნის წინააღმდეგ (კაცის და ქვეყნის გაჩენის შესახებ) გვებაასებოდა. თავადმა რექტორს სთხოვა განეგრძო საუბარი იმ საგანზე, რომელზედაც ჰქონდა დაწყებულ და მიეცა მისთვის ნება მხოლოდ მოესმინა მას მისი სწავლება. თავადს ეგონა, რომ ვაკვეთილს გვიხსნიდა ჩვენ რექტორი. რექტორმა დიდის მწუხარებით უთხრა თავადს ანდრონიკაშვილს:

—იცი თავადო, რა უმედურ დროს შევესწარით? აღმოსწინდნ ზოგიერთი ნასწავლი პირები, როგორც მაგალითებრ ერთი ინგლისელი მწერალი დარვინი, რომელიც იმისთანა აზრებს ავრცელებს ქვეყნისა და კაცის გაჩენაზე, რომ ფრიალ შეგაწუხებს. თავადმა ვაკვირვებით მოისმინა რექტორის სიტყვები.





— აი ბატონო, რასა სწერს ეს ურწმუნო კაცი, განაგრძო რექტორმა: ქვეყნიერობა რომ არსებობსო ამბობს დარვინი, არამც-თუ შეიდი ათასი, არამედ ასი ათას წელიწადზე მეტიც იქნებაო. აქედამ გამოდის, რომ მართალი არ ყოფილა ადამ და ევას ისტორია; თუ ეს მართალი არ არის მაშინ აღარც ქრისტიანობა ყოფილა და იქნამდის მიგვიყვანს ეს აზრი, რომ ერთმანეთი უნდა დავხოცოთ. აი ამისთანა უბედურებამდისინ მიგვიყვანს დარვინის აზრი! როგორ მთავრონთ თავადო ამისთანა უბედური და ურწმუნო მწერლები?

— სწორეთ ძლიერ მოაწონს მაგისთანა მწერლები, მოახსენა ანდრონიკაშვილიმა რექტორს.

ჩვენ ყველა შაგირდები განაბებით ყურს ვუგდებდით რექტორისა და ქართველის თავადიშვილის, გენერალის ბაას. ამ ანდრონიკაშვილს რუსეთის სასწავლებელში განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ დიდი ნიჭიერი კაცი იყო. რექტორი ძლიერ შეწუხდა, რომ ამისთანა პასუხი მისცა ჩვენთან, შაგირდების გასაგონად. ანდრონიკაშვილის ამისთანა პასუხმა თავზარი დასცა რექტორს და გაკვირვებით ჰკითხა:

— ნუ თუ თქვენ, თავადო, ამისთანა ურწმუნო კაცებს თანაუგრძობთ? მე თქვენ ვიცნობდით ქეშმარიტ ქრისტიანეთ და როგორ პრძანებთ იმას, რომ ამისთანა ურწმუნო კაცების ნაწერები თქვენ მოგწონთ? არა, თავადო, ეს კაცები მოსაწონი კი არა მისაგმობია. მართებლობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ მათი ნაწერები არ გაავრცელოს ხალხში. იქ (ინგლისში) თუ ნებას აძლევენ ამისთანა უმგზავსო წიგნების ბეჭდვას ჩვენში მაინც აკრძალული უნდა იყოს, რომ ხალხი დაიკვნ ამისთანა განბრუნელი შინაარსის წიგნებისაგან. მე ვერ წარმოვიდგენდი, თავადო, თუ თქვენ ამისთანა აზრის იყავით...

— აი რისთვის მომწონს, მამაო რექტორო, მაგისთანა მწერლები, მოახსენა ანდრონიკაშვილიმა: თქვენ, სასულიერო წოდებას გძინავთ და მხოლოდ იმას აქცევთ ყურადღებას, რომ სწიროთ, ილაოკოთ და იცხოვროთ მყუდროდ. გონებით განათლებაზე ბევრს არ ფიქრობთ. როდესაც მაგისთანა მწერლები გამოჩნდებიან თავის ნაწერებით თქვენ გაგაღვიძებენ, ჩაგაგდებენ ფიქრში, ჭ ძალა უნებურად პასუხი უნდა გასცეთ და ეს პასუხის გაცემა გამოგაღვიძებთ

და ძალაუნებურათ პასუხს დავაწერინებს თქვენ და ამით სარგებლობას მოუტენთ თქვენ თავს და საზოგადოებასაც. იმას რაც ქეშმარიტება არის ვერ მოშლის ვერც დარვინის წიგნები და ვერც სხვა მრავალ ნაწაველ ფილოსოფოსთა. ყველას თავისუფლად უნდა შეეძლოს წერა თავისი აზრისა. ერთი, რომ ასე იტყვის, მეორე პასუხს გაცემს და სახით კარგი აზრი დარჩება, ცუდი და უკუღმართი აზრი კარდება. სახარების ქეშმარიტების დარღვევა და გაუქმება არც დარვინს და არც სხვა ფილოსოფოსების წიგნთ არ შეუძლიანთ; მხოლოდ თქვენ არ უნდა დიდიხნოთ, რომ ძილის დროს ეშპაკი ან შეგვბაროს ქრისტეს ყანაში და პურის თესლის მაგიერ ღვარძლი არ დავათესოს...

— მაგას მართალს ამბობთ, თავადო, მიუფო რექტორმა, მართალია, რომ დღევანდელი სამღვდლოება მოუშუადებელია დარვინის აზრების საბრძოლველად, მაგრამ იმედია არ გაივლის დიდი დრო, რომ სამღვდლოება გასცემს პასუხს და წინ დაუდგება იმ ნადირებს, რომელთაც სურთ მოტაცება ცხოვართა. თქვენმა პირველმა პასუხმა მე სწორეთ შემაწუხა, მაგრამ ეხლა-კი თქვენვე გამომიყვანეთ ამ შეწუხებისაგან და გმადლობთ.

შემდეგ მოიკითხა მეგრელების, იმერლების და ქართლ-კახეთის შაგირდების რაოდენობა სემინარიაში და ბვერი რამ შესანიშნავი სიტყვები გვითხრა, გულით და სულით ისურვა მოსწავლეთა გონებით განვითარება, კეთილწარმატება და გამოგვეთხოვა ყველას.

ეს ამბავი ყველა შაგირდებს ისე ჩაგვებმულ ხსოვნაში, რომ არასოდეს არ ამოიშლება იგი. ბევრი რამ გავიგონეთ ამ თავადისაგან ზოგიერთ ურწმუნო პირთა აზრებულ მსჯელობის შესახებ რომელი-თაც ჩვენ ნამდვილად დაუწმუნდით ღ დაკვამყოფილდით. რექტორის ლოდიკური აზრი, იმის შესახებ, რომ თუ დარვინის აზრს ვეთანხმეთ მაშინ ჩვენ უნდა დავერიოთ და ერთმანეთი ამოვხოცოთო, სრულებით არც ერთი შეგნებული ამას არ ერწმუნებოდა. ეს ისე რაღაცა მოუფიქრებლად იყო ნათქვამი მამა რექტორისაგან, რომ ყველა შაგირდებს აკვირებდა. ჩვენ კარგად ვიცოდით სხვა არა ქრისტიანე ხალხები, რომელნიც ერთმანეთს არ ხოცავდენ...

ზოღისა ვითხველთან, ამ გრძელი წინასიტყვაობისათვის მაგრამ ამ გრძელი ამბის მოთხრობას კავშირი აქვს მიხეილ გაჩჩილაძისაგან გამოცემულ კალენდართან. მიხეილ გაჩჩილაძის კალენდარში არის ერთი წერილი, რომელიც დაფუ-



ძნებულია დარვინის თეორიაზე, დარვინის მოსაზრებებზე ქვეყნისა და კაცის განიხილვის შესახებ. მაგალითებრი არიან ზოგიერთი მეცნიერი, რომელნიც ამბობენ, რომ მთავარესა და ვარსკვლავებზე ისე სცხოვრებენ ხალხნი როგორც დედამიწაზეო. განსვენებული ჩვენი გიორგი წერეთელი კიდევ სწერდა, რომ დიდი ცეცხლის განთავით გამოვლენარაკით მოვარეზე მცხოვრებ ხალხია! მაგრამ სწავლულთა მოსაზრება დამტკიცებით კი არ მიიღება ყველსაგან. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ხუთი ვერსის სიმაღლეზე სუნთქვა აღარ შეუძლია კაცსო და თუ ეს ასეა როგორ შეუძლიათ იმ სიმაღლეზე სუნთქვა და ცხოვრება ხალხს? მართლაც იქნება შეიძლებოდა ეს მთავარზე სუნთქვა, მაგრამ როგორ ამტკიცებდა ამაში დაარწმუნოთ თქვენ საზოგადოება? დარვინის თეორიაც ამ მოსაზრების მსგავსია. დარვინის თეორია კაცის და ქვეყნის განიხილვით სხვა მეცნიერთა უარ-ჰყვის და სრულებით არა სწამთ იგი, რადგან ბუნების დაკვირვება და გამოკვლევა სულ სხვას ამტკიცებს და არა მას რასაც დარვინი ფიქრობდა და აზროვნობდა. ზოგიერთ უფრო მეცნიერთ ჰგონიათ, რომ დარვინმა ყოველის მხრით გამოიკვლია მთელი ბუნება გარდა ის არ იცინა, რომ ათასი წლის განმავლობაში ყველა მეცნიერებმაც, რომ იკვლიონ ჩვეყანა და მისი ბუნება ამ ბუნების მესვე ნაწილისაც ვერ განიხილავენ. თვითონ დარვინი, რომლის ტეორიებით და აზრებითაც ჩვენი საცოდავნი უსუსურნი მეცნიერნი გვიღებიათ, მორწმუნე კაცი იყო და დიქრთი სწამდა... ერთ დროს ინგლისის მეცნიერი ბოკლიც ურწმუნო კაცი ეგონათ, მაგრამ ძლიერ მოატყუებულნი დარჩენ...

ჩვენი უსუსურნი «მეცნიერნი» მესამე, მეოთხე კლასებიდან გამოგდებულნი და მათთან უკუღმართად, ზერეგლად და ცალმხრივ ნასწავლნიც ამტკიცებენ, რომ ვითომც სასულიეროა წოდება და ქრისტიანობა წინ ეღობებოდეს ხალხის განალიზებს, მაგრამ უსუსურობა ამ ვაჟბატონ «მეცნიერთა» ცხადი და აშკარა საქმეა. გადახედეთ იმ ქვეყნებს სადაც არის გავრცელებული ქრისტიანობა. რომელი ქვეყნის ადგილის მცხოვრებნი არიან განათლებულნი და დაწინაურებულნი ისე როგორც ევროპა და ამერიკა, სადაც ქრისტიანობა არის გავრცელებული? როდეს იყო საქართველო ძლიერი, დღეს თუ წინეთ, როცა ამტკიცებ იდგა სარწმუნოებაზე?... რით შეუშალა ხელი ქრისტიანობამ გონების განვითარების საქმეში ევროპის და ამერიკის ხალხს?

(კისისრუდი იქნება).

დ.ქ. დ. დამაშაძე.

### განა სახარბილო ჯამაგირს იღებენ?

სულგრძელობას, მოთმინებას მაცხოვარი დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ამიტომ ის ყველას სავალდებულოთ გაუხადა შემდეგის სიტყვებით: «იხილეთ შემოგვრას შენ მარცხენე ყბაში, მიუპყარ მის მარჯვენეცა». ეს სიტყვები შეეხება ყოველი წოდებისა, ასაკისა და სქესის ადამიანს, მაგრამ ზოგიერთები ამ დღვის ბძანებას სავალდებულოთ ხდიან მხოლოდ მღვდლებისათვის. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს საქციელი ზოგიერთი ვაჟეთების თანამშრომლებისა, რომლებიც ისე ცალმს ხელში არ აიღებენ, რომ მღვდლებს არ შეეცნოს, და იმათი პიროვნების დამამიკრებელი არაფერი სთქვან, რასაკვირვლია იმ რწმენით, რომ სიტყვით გალახვა ჯობით გალახვზე უარესია. ეს ვაჟბატონები უფრო იმას შესტირიან ყველას, ვითომც მღვდლები ერთობ დიდსა და ხშირათ უკანონო სასყიდელს ღებულობდენ სხვა და სხვა მღვდელმოქმედებისათვის. ასეთი აზრი ვაჟბატონ ერთ თავის ფელეტონში შარშან ბ. სიტყვამ, რომელსაც მართალია საფუძვლიანი პასუხი გასცა მღვდლების მაგიერ იმავე წლის იმწყმსისა-ს №-ში ბ-მა რ. ქართველიშვილმა. ვისაც ის წერილი წაუკითხავს, იმას სინიდისი ნებას არ მისცემს დაიყენოს—მღვდლები ქვეყანას სქამენ, უზომო საშრომელს ღებულობენო, მაგრამ ბატონ ჯიბილას იმ წერილის წაკითხვით თავი არ შეუწუხებია და ალბათ აღაპარაკებს ასე უსაფუძვლოთ იმერელ აზნაურს ამა წლის «ცნობის ფურცლის» № 2427-ში: «როდის და რა ვფარად დაკანონდა ეს ორ-ორი მანეთი ღრამა—ამის ვითარებაში არიან. ეს ჯამაგირები ხომ გაუჩინეს საულიერ მამათ და ღრამა და სხვა ხარჯები ისევე ძველებური რჩება. ხარჯები და მერე რამდენი ხარჯები—არ იკითხავთ: საწირავში ფული, სანაღვავში ფული, საზიარებელი ფული, საიახზმო ფული, შენ ხარ ჩემი ბატონი, სამარხი ფული, ზეთის საკურთხი ფული, ჯვარის საწერი ფული და კიდევ რამდენი, ერთ დღეს ვერ ჩამოვთვლი, ამდენი ხარჯი, ამდენი ჯამაგირი და ეს ღრამა კიდევ. ეს მიწურული თვე მაინც, დიდმარხვის წინეთ, როგორც თავათაც არ წარმოსთქვა ჩვენმა მოძღვარმა თვის წმინდა ბაგეებით,—ნამდვილი სთველია მღვდელთათვის. ჩვენ პატარა სოფელში თერამეტი ჯვარის წერა იყო—თერთმეტი თუმანი ოქრო





ჯიბას იკრა ჩვენმა მოძღვარმა“. ასეთი ზიზღით, ასეთი შურით სავსე ვაზვიადებით არის ჩამოთვლილი ხსენებულ ფელეტონში მღვდლისათვის შემოსავლის წყაროები, მაგრამ ავიწყდება ავტორს, რომ მისგან ჩამოთვლილი წყაროების უმეტესობა ისეთივე შემოსავლიანია, როგორც მისგანვე სიტყვის გასაბარაქიანებლათ და გულუბრყვილო მკითხველთა თვალის ასახვევთა ჩატმასნილი «შენ ხარ ჩემი ბატონი». პატრიცემული ავტორი მღვდლებსიგან უსათუოდ მოითხოვს სიჩუმეს, რაც უნდა სწორის მათ შესახებ, მაგრამ რადგან ხშირათ სიჩუმე თანხმობის ნიშანია და ყოველთვის არც ბნ რ. ქართველიშვილისთანა მოსარჩლე გამოუჩნდება ზოგიერთებისგან ყბად აღებულ სამღვდლოებს, ამიტომ არ შემძღვია არ მივაქციო მკითხველთა ყურადღება იმას, თუ რამდენათ შემოსავლიანია მღვდელთათვის თითოეული ფელეტონში დასახელებული წყარო. ცნობები შესახებ წლიური შემოსავლისა მომაყვს 150 კომლიან სამრევლოში მეტროქესკისა და სამშოწინთა განხილვით რვა წლის განმავლობაში. შემოსავლის პირველ წყაროთ ფელეტონში დასახელებულია საწირავი ცოცხალთათვის; ანუ, როგორც სოფელში ეძახიან; საოჯახო წირვა ყველს არ აქვს სავალდებულოთ. ასეთ წირვას საშუალო მრევლში გადაიხდის სულ ბევრი 5—6 კომლი წლის განმავლობაში და მღვდლის საჩუქარი ან აბაზი აციან, ან სულ არაფერი. როდესაც ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიძემ გაიგო, რომ იმერეთში მღვდლებს წირვისათვის ერთ აბაზს ამღვევნი, ძლიერ გაკვირდა და ეს ჩვეულება საცინათ ავლებად ჩასთვალა მღვდლებსი და მათგან შესრულებული მღვდლოქმედებისათვის. ჩავადლოთ აქედან წლიური შემოსავალი ექვსი აბაზი, 150 კომლიან სამრევლოში წელიწადში იბადება 27 ბავშვი, რომელთაგან ზოგი დღენაკლებობისა ან სხვა რაიმე მიზეზისაგანა საჭკაროთ ინათლებნ და მღვდლს არაფერს არ ამღვევნი, ზოგზე კი მღვდლს აჩუქებენ 10—50 კაპ. მაინც საშუალო რიცხვით ვიანგარიშოთ ხუთ-ხუთი შაური, რაც წლიურათ შეადგენს 6 მან. და 75 კაპ. არვიცი იმერეთის სხვა-და-სხვა კუთხეებში როგორ ასაჩუქრებენ მღვდლებს ზიარების დროს და მე კი 600—700 სულ მაზიარებელთაგან წელიწადში შემომდის ჩემი მღვდლითინანა არა უმეტეს 10 მანეთისა. საიახზეს იმერეთში მღვდლები არაფერს არ ლებუ-

ლობენ და რაიცა შეეცება ზეთის კურთხევის, ეს საიდუმლო სოფლებში ისე იშვიათად სრულდება, რომ შეიძლება მღვდელმა საწენსიო ვადა 35 წელიწადი შეასრულოს და სულ ორჯერ—სამჯერ არავის მიეპატიჯოს ზეთის კურთხევისათვის. სამარხი, ანუ მიცვალებულთა საწირავი მღვდელს შემოუა თითოეულ მოზრდილ მიცვალებულზე ექვსი მანეთი (3 მ. სავალდებულო წესის ასაგები და წინ გასაძლოლი, 3 მანეთი კეთილ მწებელობით საწირავი) და შუათანა მრევლში რომ დიდინ პატარაიანა (ჩვილიან წესის ასაგებათ მანეთს იძლევიან) რომ ოცი მიცვალებული ვიანგარიშოთ—120 მანეთი. ეს ანგარიში ცოტა გადაქარბებულია, მაგრამ იყოს ასე. ჯვარის წერა 150 კომლიან მრევლში საშუალო რიცხვით ზდება წელიწადში 8 და მისცემს კრებულს 5—10 მანეთამდე,—40—80 მან. არის დრამის ფული, რომელსაც მარტო გვებსობა იხდის. ვიანგარიშოთ საშუალო მრევლში 100 კომლი დრამის გარდამხედელი და კრებულს შემოუა წლიურათ 200 მანეთი. რაიცა შეეცება ჯამაგირს, ეს ჯერ საოცნებო რამ არის სამღვდლოების უმეტესობისათვის. 120 კომლიანზე ცოტა მეტ სამრევლოებში მღვდლები მედვითინანა იღებენ აღრინდელ მცირე ჯამაგირს, ასე 120 მანეთს წელიწადში. ჯამაგირს 300 მანეთს, რომელიც ბნ ჯიბილას და მის იმერელს დიდი ხანია ყველა მღვდლებისათვის დაუნიშნავსთ, მარტო ძლიერ მცირე სამრევლოს კრებულები იღებენ და რამოდენიმე მღვდლისაგან წლიურათ სამასი მანეთის ჯამაგირათ მიღება კი ყოველი მღვდლის ჯამაგირინობას და ნიეთიერათ უზრუნველ ყოფას არ მოასწავებს. ანაირათ 150 კომლიან სამრევლოში ეკლესიის კრებული (და არა მარტო მღვდელი, რომ გორც ჯიბილა იმერელს ალაპარაკებს) შემოუა წელიწადში: 1 მან. და 20 კაპ. ცოცხალთათვის საწირავი, 6 მან. 75 კ. ნათელაში, 10 მან. სიანულით ზიარების მიმღებთაგან, 120 მან. გარდაცვალებულთა წესის ასაგები და საწირავი, 90 მან. ჯვარის საწერი, 200 მან. დრამა და 40—80 მან. ჯამაგირი—სულ 427 მან. და 95 კაპ. გამოვრიცხოთ აქედან სასკოლო კომლერეი გარდასახადი 37 მან. 50 კაპ.. საეპარქიო ქილემბის სასწავლებლის 10 მ. საეპენსიო 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> 2 მან. 40 კაპ. და დარჩება 379 მან. 5 კაპ. გაუნაწილოთ ეს გროშობით აღებული ფული მღვდელსა და მედვითენეს და ერგება პირველს




359 მან. 28 კაპ., მეორეს 119 მან. 76 კაპეიკი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს არის თითქმის ზედმეტად ნაანგარიშევი წლიური შემოსავალი 150 კომლიან სამრევლოს მღვდლისა და მედავითნისა. აი ასეთი დიდი შემოსავალი აკვირვებს ზოგიერთებს და ის კი არ ახსოვსთ, რომ ამოდენ ფულს ზოგიერთი საშუალო ღირსების ჩინოვნიკი თვითრათ იღებს ხაზინიდან. თუ ეს ბატონები ნამდვილი სოფლის ავკარგის მეთვალყურენი არიან, რატომ არ ახსოვსთ, რომ მღვდლები სოფლის მასწავლებლებთან ერთად ჯამაგირისა და შემოსავლის მხრით ძლიერ ნაკლებათ არიან უზრუნველყოფილინი და ეს ნივთიერი ხელმოკლეობა კიდევ ემჩნევა მათ, თუ სხვა რამ საკუთარი საშუალება არ აქვსთ ცხოვრებისათვის? რატომ მიაჩნიათ საექვოთ, რომ შეგნებულსა და კარგი მიმართულების მღვდელს დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს თვის სულიერ შვილთა ზნეობისა და გონების წინ წაწევას და ასეთი მღვდლის შესანახათ დახარჯული ორიოდვე გროში არასოდეს დაკარგულათ არ ჩაითლებმა? შეიძლება ეს მოწინავე და ვითომ ბეზავი ხალხის ვულგემბატიკი-ვარი პირები მღვდლებს სრულებით საქირით არ სთვლიან, თუ გინდ იგინი ბევრით არც-კი განირჩეოდენ იმ მოძღვრებისაგან, რომლებიც ბ-მა ი. ქავჭავაძემ და განსვენებულმა ა. ყახბეგმა დაგვიხატეს თავის მოთხრობებში. ჩვენ არ გავვიგონია, რომ სადმე სასულიერო წოდება დაეწაროსთ, სარწმუნოება უარეყოსთ, მთლად ეკლესია გაენადგურებოისთ და მის ნანგრევებზე საზოგადო ბედნიერება და კეთილწარმატება დამყარებინოსთ. პირიქით, რაც ხალხი მალდა მდგარა გონებითა და ზნეობით, და დღესაც დგას მით უფრო მორწმუნე და პატივისმცემელი ყოფილა ეკლესიისა და მის წარმომადგენელთა. შეიძლება ჩვენ მღვდლები არ ვვარგვიართ, არ ვასრულებთ პირნათლად ჩვენ დანიშნულებას, მაგრამ აქ შემოსავალზე ლაპარაკი და იმისი ერთი-ასათ გაზვიადება რას გააკეთებს. გვიჩვენეთ, ბატონებო, ჩვენი ნაკლებევენება, ავიხსენით რის გაკეთება შეგვიძლია, რანაირი სამსახური უნდა გაუწიოთ საზოგადოებას და, თუ რასმე საფუძვლიანს გვეტყვიეთ და ჩვენ არ დავიკერებთ, მაშინ დავგვიძღურეთ. სამართლიანი მხილება მხოლოდ უგუნურს ეწყინება და ჩვენ-კი მადლობასაც მოგახსენებთ.

რომ მღვდლის მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი იქნეს, მისთვის საჭიროა ბევრათ თუ ცოტათ ნი-

თიერი უზრუნველყოფა, რადგან სიმშლილი და საზოგადო მოღვაწეობა ერთად ჩვეულებრივი აღამიანი-საგან მაინც ძნელი მოსათავსებელია. მარტო ის რომ იხახო: მღვდლებს აუარებელი ჯამაგირი აქვსთ, ყველაფერში უზომო სასყიდელს ღებულობენო და სხ., ამით მარტო სიძულვილსა და უნდობლობას დანერგავთ მრევლსა და მღვდელს შორის, რასიგამოც ის იმ მცირე სამსახურსაც ვეღარ გაუწევს საზოგადოებას, რომელსაც აღეს უწევს.

მღ. ს. ჭუმბურიძე.



**«ზა ბედნიერებისაკენ.»**

უმაღლესი ბედნიერება.  
(გაგრძელება\*)

პოზიტივისტები: კონტი, ბოკლი და სხვანი უმაღლეს სიკეთეთ სთვლიან ცივილიზაციას, განათლებას. ისტორიკი გვიჩვენებს, რომ ცივილიზაციას ხელი არ შეუწყვიდა ზნეობის განვითარებისათვის და არც ბედის კმაყოფილება დაუბადებია. პირიქით ცივილიზაციის დაწინაურებისათანავე აღამიანები უფრო ნაკლებ ბედნიერები შეიქმნენ. ამიტომ აღვიდა იხსენება ის თავგამოდება, რომლითაც ძველი დროის ცინიკოსები\*) და ჩვენ დროში ჟ. ჟ. რუსსო, ტოლსტოი, ნიცშე იბრძვიან მის წინააღმდეგ.

ზოგნი უმაღლეს ბედნიერებათ სთვლიან კეთილდღეობას. ამათაგან ზოგნი, მაგ. გობბსი კეთილდღეობას ჰხედავენ ეგოიზმის დაკმაყოფილებაში; ეგოიზმი კი ისეთ თავ-მოყვარობის გრძნობას ჰქვია, რომელიც აღამიანს ათერგუნინებს ყოველისფერს, რაც კი ხელს უშლის, წინ ეღობება საკუთარი სურვილის შესრულება-დაკმაყოფილებას. თუმცა ამ პრინციპს ეგოისტებისათვის თვალის წარბაცვი,

\*) ის. „მწეშისა“ № 5

\*\*) ცინიკოსები ეწოდებოდათ ცინიკური ფილოსოფიის მომხრეებს. ეს ფილოსოფია დაარსდა ხუთი საუკუნის წინდ ქრისტეს დაბადებამდე; სოკრატის შეგირდმა ანტისტენამ ეს სწავლა, აღამიანის ზნეობრივ თავისუფლების სახელით უარს-ჰყოფდა ზრდილობიან თავდაპერილობას როგორც საქმეში, ისე სიტყვებში და ჰქადაგებდა: საჭიროა, რაც შეიძლება ნაკლები მოთხოვნილობები ვიქონიოთო.

შენიშ. მთარ.



მიზიდიველი ძალა აქვს, მაგრამ ცხოვრებაში კი ძნელი გამოსაყენებელია. როდესაც ჩვენ დაუდგრომელად მარტო ჩვენს ინტერესებს ვეძიებთ, მაშინ აუცილებელია ჩვენი სხვა ადამიანებთან შეხება— შეტაკება. ამასთან ამ ჩვენს მისწრაფებას წინ ელახება აგრეთვე ფსიხოლოგიური დაბრკოლება: ეგოიზმთან ერთად ადამიანში არსებობს აგრეთვე გრძნობა ადამიანთაღმი სიმპატიისა (სიყვარულისა).

დ. ს. მილლი და სმიტი უბირატეს მნიშვნელობას აძლევენ საზოგადოებას, ე. ი. სიყვარულს მოყვასთანღმი თავის უარის ყოფამდე ღმის (მოყვასის) საკეთილდღეოდ თავის მსხვერპლად განწირვამდე. ეს შეხედულობაც ცალ-მხრივია; როდესაც მნიშვნელობას აწერენ მხოლოდ საზოგადოებას, მხედველობიდან ეკარგებათ კერძო (ინდივიდუალური) პიროვნება.

ზოგიერთები კი, მაგ. ლეიბნიცი და ფეხნერი უმალდეს ბედნიერებას ჰოულობენ სულიერ სიამოვნებაში. თუმცა გრძნობა სიამოვნებისა ერთადერთი იძლევა (მოტივია) ჩვენს მოქმედებას, მაგრამ იგი, როგორც გრძნობა არ შეიძლება ჩაითვალოს უმალდეს ზნეობრივ სიკეთედ. აქ შეიძლება მოვიყვანოთ სახარების სიტყვები, რომ ნეტარება უნდა შეიძინოს ადამიანმა შიშითა და კრძალვითა. მაგრამ ეს (ლეიბნიცის და ფეხნერის) თვალთახედვის ისარი უფრო მალა დასაყენებელია ვიდრე გრძნობელობითი ან ესტეტიური. პლატონი ყველაზე მალა აყენებს ღვთაების მიმსავსებებს. ამასვე, მხოლოდ სხვა სახით, მოითხოვენ პიფაგორი, ავეუსტინე და სპინოზა. აქ იბადება ვადაქრილი საკითხი: რა თვისებაა— ბუნებისა ღმერთი, რომელსაც ადამიანი უნდა ემსგავსებოდეს და რაში მდგომარეობს— მისი (ღვთის) ნება-სურვილი. როდესაც ამოვბენ, ღმერთი ყოველის მზერ სრულყოფილი და უღამატებულესი არისო (всесовершенство) და თვით-განვითარებისა და თვით-განკარგისებას ადამიანის ცხოვრების მიზნად ჰხდინ (კარტეზი, ლეიბნიცი, ულირიჩი), ეს მხოლოდ ფორმალური მცნებაა.

ძველი დროის ისტორიკოსები თხოულობდნენ, რომ ჩვენ ვიცხოვროთ ბუნების შესაფერისად. მაგრამ რა უნდა ვიკულისხმოთ „ბუნების“ შესაფერისად? ბუნება არის ისეთი ადამიანთან მჭიდროთ შეკავშირებული დასაბაჰი, რომელიც შეიკავს სულსაც და ხორცსაც, გრძნობასაც და გონებასაც. ვიდრე

ადამიანს არ გაუტყვია უმალდესი ბედნიერება, გარდა ცხოველური ცხოვრებით დატკობა— სიამოვნებისა, ბუნების მოთხოვნილებად იგი აღიარებს საქმელს, სასმელს, ქეიფობას. მიფელი ისტორიული ეპოქები მისდევდენ ამ პრინციპს; მაგრამ ეს იყო დრო დაქვეითებისა, განვითარების უკანაღწევისა. გავისენოთ დროება აღექსანდრე დიდისა, რომის კვისრებისა, მეფერამეტე საუკუნის დასასრული, ე. ი. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის წინა დროება. კერძო ადამიანების ცხოვრებაშიაც არის ესეთი ხანები. გამოუტყდელი ახალ-გაზღვბი რაწმსაც განთავისუფლდებიან სკოლის ან ოჯახის მკაცრი დისციპლინისაგან ზოგჯერ ქეიფობასა და ბლწ ცხოვრებას გაყვებიან ხოლმე. როდესაც მათ გამოცდილი ნათესავები აფრთხილებენ და უშლიან, მაშინ ისინი გაიძახიან: ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებებს ვიკმაყოფილებთო, თან კი სრულიად ავიწყლებათ, რომ ადამიანს ცხოველურ ინსტინქტებთან ერთად აქვს აგრეთვე გონება. თუ რომ პირველებს დაუმორჩილებთ მეორეს (გონებას), მაშინ სტრაიკოსების თფორსა მართალი გამოდგება. თვით ბუნებრივი მოთხოვნილებები ცუდნი არ არიან, მაგრამ მათ ხელმძღვანელოდ და ზედამხედველოდ (კანტროლიოროდ) უნდა იყოს გონება. მხოლოდ მაშინ განართლდება ეს ფორმული, რადგანაც უმალდესი სიკეთე არის ის, რაც ერთსა და იმავე დროს შეეფერება ბუნებასაც და გონებასაც. მიჰყე გონებას, თუ იგი ეთანხმება ნორმალურ მოთხოვნილებებს, ამ სახით, ზნეობრივი განვითარება ადამიანისა შეადგენს უმალდეს სიკეთეს (რა თქმა უნდა ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოვრებას რაიმე ფასი სძქეს). მხოლოდ ზნეობრივი ცხოვრება შეიძლება იყოს სასურველი, რადგან ასეთი ცხოვრება შეადგენს ნაყოფს, შედეგს ნამდვილის ადამიანურის ყოფაქცევისას. „მხოლოდ ნამდვილად კი ადამიანისათვის კეთილი არის ბედნიერება, ბოროტისათვის კი იგი წყაროა ტანჯვა-ვაიბისა“. ადამიანს შეუძლიან ბედნიერი იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ცხოვრობს თანახმად ბუნებისა და გონებისა. ყოველივე აქ ნათქვამი მართლდება შესახებ ჩვენის ფიზიკურის ბუნებისა. ამას ჩვენ ნათლად დავინახამთ თუ ჩვენს საკუთარს ცხოვრებას დეაკვირდებით. ყოველიფერში ადამიანმა ზომა და საწყაო უნდა იკოდეს. როდესაც კაცი იმას არ დგვიდეს, იგი





**ქურნალ-გაზეთიებიდან.**

უქველად აენებს თავის თავსა. როგორი სალი, ძლიერი და ჯან-ღონით საესე იყოს აღმიაინი, როგორი ძალოვანად და ყველაფრის ამტანად მიახრდეს თავი, მაინც და მაინც ყოველი ექსტრეს (ზომიერების კანონის არ შენახვის), გამაფუჭებელი და დამარღვეველი მოქმედება აქვს მისი ჯანის სიმრთელეზე. ახალ-გაზღვები, განსაკუთრებით სტრუქტურები ერთი-ერთმანეთს სმაში ეჯიბრებიან; ნემენ-ცები ძველიდგანვე სახელ-განთქმულნი არიან ლულისა და ლენის უზომოდ ხმარებით, მაგრამ ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ისინი ჰხედვენ აგრეთვე ცულ შედეგებს ამ ჩვეულებისას. გარდა ამისა, რომ გაუფრთხილებლობას, ზომიერების კანონის არ შენახვის მრავალ-გვარი ცული შედეგები მოსდევს, როგორც; მაგ: სიზანტე, ბრაზიანობა (сварливость), ქონების ფლანგვა და ზნეობრივი გახრწნილება (ბახუსი და ვენერა—განუტრელი მგობრები არიან), იგი აფუჭებს, არღვევს აგრეთვე ჯანის სისაღეს. ასევე ითქმის მუშაობის შესახებ: მუშაობაშიც საპირობა ზომიერება; ვინც ზომიერებას არ დასდევს, მას ბუნება აღრე თუ გვიან დანაშაულს აგრძნობინებს ან სისუსტით, ან სნეულებით და ან ნაადრევი მოხუცებულობით.

იმავე მოვლენას ეხედვით ჩვენ ზნეობრივ ნიადაგზე. ჭკუა გვაწავლის, რომ ჩვენი მოქმედებები და მისწრაფებანი მოყვასთა საკეთილ-დღეით უნდა იყვნენ მიმართულნი, გარეშე აღმიაინთა განკარგისება უნდა შეადგენდეს მათ მიზანსა. ეგოიზმი ისეთივე სისულელეა, ისეთივე უაზრობა, როგორც თავ-დაუთქურელობა, არაზომიერება. ამ გვარად, ჩვენ ეხედვით, რომ ჩვენი მოქმედებები ნამდვილ შესაფერისად ფასდებიან იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა უკავიით უმაღლესი ბედნიერებისათვის. როდესაც ჩვენ ვშრომობთ მოყვასთა სასარგებლოდ, ვიღწვით მათის ზნეობრივად განკარგისებისა და გაუმჯობესებისათვის, არ უნდა გვავიწყლებოდეს, რომ თვით ჩვენ შევადგენთ ნაწილს კაცობრიობისას. საუკეთესო მამსახური კაცობრიობის წინაშე არის შრომა და მეცადინეობა თავისი თავის განკარგებისა და გაუმჯობესებისათვის, თვით-თავიფრთხილებისათვის. „ვარდი ამშვენებს რა თავის-თავსა, ამასთან ერთად ამშვენებს აგრეთვე ბაღსაც“.

(გავრძელება იქნება).

ბ. ხ. — ე.

ტაიმს-ი სწერს: „რუსებს ჯერ იმდენი ჯარი არა ჰყავთ ბრძოლის ველზე, რომ იაპონელებს მღ. იალუზე გადასვლა დაუშალონ. მღ. იალუზე რომ დიდი ჯარი ჩაიყვანონ, მაშინ სხვა ადვილებმა დააკლდებათ. იაპონელებს ზღვა ხელში უჭირავთ; ამიტომ ბრძოლის ველზე გაბედულათ იქცევიან და დიდ თავსნობას იჩენენ. გენერალი კურობატკინი კი ჯერ ელის, რომ იაპონელებმა თავიანთი სამხედრო განზრახვა და პლანი გამოაშკარაოთ. ამ ქამად რუსის მთავარ-სარდალმა ჯერ არ იცის, რა მხრიდან დაეცემა იაპონელები რუსის ჯარს. იაპონელები ეხლა იალუზე გადმოდიან და იქნება რუსის ჯარის მარცხნა ფრთას დაეცნენ. რასაკვირველია, გენ. კურობატკინი დიდ ყურადღებას აქცევს მღ. იალუს, მაგრამ ადვილად შეიძლება, რომ იაპონელები ამავე დროს სხვა ადგილასაც დაეცნენ რუსის ჯარს. ამიტომ რუსის მთავარ-სარდალი ჯერ იცდის, ჯერ უნდა გაიგოს, რას აპირობენ იაპონელები და რა მხრიდან დაეცემა რუსის ჯარს. მაინც ისიც ცხადია, რომ გენ. კურობატკინს საკმაო ჯარი არა ჰყავს.

შანაიდან დღემოთ ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: იაპონიის პირველ არმიას (მღ. იალუზე რომ გადავიდა) 72 ექვს ლიუმიანი ველის გაუბიცა აქვსო. ამ გაუბიცებით იაპონელებმა რუსის სიმაგრეებს და სანგლებში დაშალულ ჯარს მალლიდან ყუმბარა დაუშინესო. (\* მ. ვ. \*)

გერმანულ გაზ. „უოსიშე ცაიტუნგ“-ს დღემოთ ატყობინებენ იოკოგამიდან: რუსებმა რომ ტურენჩენიდან უკან დაიხიეს, იაპონელები დაედევნენ ფომუტანთან მოეწივნენ და შეებრძოლენ. რუსები ძლიერ მამაცად იცაოდენ თავიანთ პოზიციას, მაგრამ ამაოდ:—იაპონელებმა სძლიეს და პოზიცია დაატოვებინ. იაპონიის სამხედრო წრეები ირწმუნებიან; რუსები ფინხუანჩენშიაც ვერას გახდებიანო.

სეულიდან ატყობინებენ უტხოვთის გაზეთებს: 18 აპრილს მღ. იალუზე კიულენჩენის პირდაპირ იაპონიის ნაღმიანი გემები ლ ბარკასები ამოვიდნენ აღმირალ ხოსოის უფროსობით. ანდუნს ზარბაზნები დაუშინეს და რუსის რაზმი ტურენჩენისაკენ აღარ გაუშვეს, თორემ ესკადრა რომ არ ყოფილიყო, რუსის რაზმი გაცივრებულ რუსის რაზმების საშველად აპირობდა წასვლას.





ინგლისური ვაზ. „ტაიმს“-ი სწერს: მდ. იალუზე გამარჯვებამ არა თუ მარტო ფინხუნჩენი, მთელი ლიაოხს ველიც გენერალ კუროკის ჩაუვლდა ხელში. ესლა რუსები ლიაოიანიდან ჩრდილოეთისაკენ უნდა წავიდნენ. ფინხუნჩენშიც ველარ გამაგრდებიან, რადგან ესლა იაპონიის მეორე არმია დაეუფანში დაედა და ფინხუნჩენს დაეცემა. (რ. ლ. #)

„დღილი მელი“-ი ამბობს: იაპონელებმა ტიურჩენჩენის აღებით მთელი ლიაოხს ველიც ხელში ჩაიგდესო. ფინხუნჩენში გამაგრება რუსებს ესლა ხელს აღარმისცემთ, მით უმეტეს, რომ იქ ცოტა ჯარი ჰყავთ: სულ 10 ათასი ქვეითა ჯარისკაცი, 500 ყაზახი და ერთი ბრიგადა არტილერია. რუსები უსათუოდ ჩრთლოეთისაკენ დაიხვევენ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ რუსები ესლა დიდ-ძალ სამხედრო სურსათს ამზადებენ ქალ. ტელინიში. ქალაქი ტელინი მუკდენიდან 60 ვერსტის მანძილზე მდებარეობს და, როგორც ვეცემა, რუსის ჯარის უმთავრესი სურსათის საწყობი იქ გამოირთება. (რ. 1.)

17—18 აპრილზე უმთავრესი ბრძოლა ტიურჩენჩენს ახლო მოხდა. ტიურჩენჩენი მდ. იალუს ახლო გორიან ადგილას მდებარეობს, იქ სადაც იალუს მდ. ახვს ერთვის. ტიურჩენჩენიდან იმჟამად 4 ვერსტია. მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი კუნძულისა მდინარეც ტიურჩენჩენს ახლოა, მდინ. იალუს ორ ტოტ შუა. ამ ადგილიდან ქ. ანდუნამდე (იგივე შახელხა) 8 ვერსტია. ანდუნადან ფინხუნჩენისა და ლიაოხისაკენ დიდი შარა გზა გაყვანილი. აქედან სამხრეთისაკენ, დადუნგოუსაკენაც კარგი გზა მიდის. იაპონელების აზრით, რუსის ჯარის უმთავრესი პოზიცია ტიურჩენჩენი იყო.

ტრიყო შორეულ-აღმოსავლეთში ჩამოვარდნილი უთანხმოება, მაგრამ იაპონიის ვერაც თავდასხმის შემდეგ, რამაც რუსეთს იარაღი ხელში ააღებინა, აშკარა ვერაფერი უშამდგომლობა ნაყოფს ვერ მოიტანს. აგრეთვე საიმპერატორო მთავრობა ნებას არ მოსცემს რომელსავე სახელმწიფოს, რომ ჩაეროს მოსაპარაკებაში, რომელიც გაიმართება ზავი პირობათა შესამუშავებლად რუსეთს და იაპონიის შორის ომის შემდეგ ზემო აღნიშნულს გაუწყებთ საცნობათ და სახელმძღვანელოდ.

\* \* \* უმაღლესი ბრძანება: „საქიროდ ვცანით საომარად დაემაზადოთ კიევისა და მოსკოვის სამხედრო ოლქების ჯარების ის ნაწილები, რომელნიც დანიშნულნი არიან შორეულ-აღმოსავლეთში გასაგზავნად ჩვენის მებრძოლთა გასაძლიერებლად, აგრეთვე მოკუშპატოთ ყაზანისა და ციმბირის სამხედრო ოლქების ერთის საარკანის გზო ბატალიონისა და ზოგიერთ სათადარიგო ნაწილებს რიცხვს. ამიტომ ვუბრძანეთ სამხედრო მინისტრს, ესლავე მოახდინოს შესაფერი განკარგულებანი. ამასთან ვუბრძანეთ: 1. გაწვეულ იქნენ სამახაურში, განსაკუთრებით ამისათვის დადგეულ სამობილიზაციო წესის თანახმად, საქირო რიცხვი სათადარიგო ჯარისკაცებისა შემდეგ მაზრებში: ა) კიევის სამხედრო ოლქისა პოლტავის გუბერნია—პოლტავისა, კოზელიცისა და კიევიანისა; ბ) კურსკის გუბერნია—კურსკისა, ბელგოროდისა, კოროზინისა და ნოვოოსკოლისაში; ხარკოვის გუბერნია—ხარკოვისა, ვასკოვისა, ზმიევსკისა, იზიუმსკისა, კუზინსკისა, სტარობელსკისა და სუმსკის მაზრებში; გ) მოსკოვის სამხედრო ოლქისა: რიაზანის გუბერნია—რიაზანისა, ევგორიევსკისა, მიხაილოვსკისა, პორონსკისა, რანენბურგსკისა, რიაჟსკისა და სკოპინისაში; კალუგის გუბერნია—კალუგისა, ლიხვინისა, მლოიაროსლავეცისა, მედინსკისა, მეშოვსკისა, პერემიშლსკისა და ტარუსკისა; ტული გუბერნია—ტულისა, ალექსინსკისა, ბოგოროდიცისა, ბელევისკისა, ნოვოსილსკისა და ოდოვესკის მაზრებში. 2. გაწვეულ იქმან სამახაურში იმპერიაში მსოფრები ყველა ის სათადარიგო აფიცრები, რომელნიც თანხმად ამ უმად მომქმედ წეს-რიგისა, დანიშნულნი არიან საომარად გამზადებულ ჯარის შესაცვებად. და 3. ზოგიერთ ზემოდ ჩამოთვლილ მაზრებში სათადარიგო ჯარის კაცთა გაწვევის გარდა, დამზადებულ იქმანს საქირო რიცხვი ცხენებისა, მომქმედ წეს-რიგის თანხმად. უმართებელსი სენატი ზემოდ აღნიშნულის განსახორციელებლად შესაფერი განკარგულებას მოახდენს. ნამდვილს მისის უფლებდებულსობის ხელით აწერია: „ნიკოლოზი“. ცარსკოე სელიო, 20 აპრილი 1904“.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* \* გარეშე საქმეთა მინისტრის ცირკულირით საზღვარ-გარედ მყოფ რუსეთის წარმომადგენელი: „უცხო-ქვეყნელი პრესისა ამ ბოლო დროს დაბეჯითებით აფიცრებებს ხმას, ვითომ ევროპის ზოგიერთ საელმწიფოს განეზრახოს უშამდგომლობის გაწევა რუსეთ-იაპონიის ომის ჩქარა მოსასპობად და მეომართა შესარიგებლად. მიღებული დებუებში იმისაც იუწყებიან, ვითომ ამ მხრივ წინადადებაც წარდგინოთ საიმპერატორო მთავრობისათვის. თქვენ გვევლებათ გადაჭრით უარ-ჰყოთ ეს ხმები. რუსეთი ომს არ იყო მოწადინებული; რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, ცდილობდა მშვიდობიანად გადაწყვე-